



הַמְנֹרֶה

გამოცის
1993 წლის
მარტიდან

ეკატერინებული გარაზზი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

არტი
(ადარი)
1-15
№4 (362)
(5772)
2012

”מברוה“
עיתון יהודי
בגאורגיה

მოვალეობურთ სასწავლის სასტუდია! – სასტუდია!

פורים

ברכות לפני קראת המגילה

ברוך אתה ה' אלהינו מלך העולם, אשר קדשנו במצוותיו, וצונו על מקרא מגילה.

ברוך אתה ה' אלהינו מלך העולם, שעשנה נשים לאבותינו, ביום קראת הHAMAN ורעה.

ברוך אתה ה' אלהינו מלך העולם, שהחינו וקיינו והגינו לזמן הזה.



რუბრიკას უძლვება
ხელოვნებათმცოდნე
ლელა შილუაშვილი



დღეს რუბრიკაში „ჩვენი საგანძურო“ წარმოგიდენთ ორ ფაროხეთს, რომლებიც დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციაში იყო და ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ფაროხეთი – სეფერთორის კარადის (ე.წ. ალთქმის კიდობანის) ფარდა, რომელიც გამოყოფს „წმინდა ადგილს“ (ჰა-კოდეშ), „წმინდათა წმინდასაგან“ (კოდეშ-ჰა-კოდაშიმ). ტრადიციულად დიასპორაში სინაგოგა სამხრეთისენაა ორიენტირებული, ხოლო მისი შესასვლელი იერუსალიმისენაა მიმართული. სალოცავის დარბაზის ცენტრში „თებაა“ აღმართული, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს უკანა ედლის ცენტრში „აპარონ-ჰა-კოდეში“ – წმინდა კარადაა განთავსებული, სადაც სეფერთორები (თორის გრანილები) ინახება.

ფაროხეთი თორაშიცა მოხსენიებული როგორც ფარდული, დამზადებული ლურჯი, ისასამნის-ფერი ან ალისფერი ქსოვილისაგან და მოქარგული ქერუბიმებით ოქროს საკიდებით ოქროთი მოპირკეთებულ იოთ სვეტზე დამაგრებული, რომელიც გამოყოფს წმინდა ადგილს წმინდათა წმინდასაგან. (გამოსვლა 26:31-33)

სხვა ატრიბუტების მსგავსად, ალთქმის კიდობანის ფარდა, როგორც წესი, საჩუქრად გადაეცემა სინაგოგას, როგორც შემონირულობა რაიმე მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად და უმეტეს წილად ხელითა მოქარგული.

სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა ქვეყნების დიასპორებში განსხვავებული სტილის ფაროხეთებს ვხვდებით, მაგრამ, როგორც წესი, ფაროხეთი მზადდება ძვირფასი ქსოვილისაგან (ზავერდი, აბრეშუმი, უფრო იშვიათად სელი, ბამბა) და ოქრომ-



ფაროხეთი – სეფერთორის კარადის ფარდა. XIX ს.

სავერდისა და ბამბის ქსოვილი, ოქრომკერდი, ნამაგრი და ორმხრივი სითვი. 144X124.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი

კედით, ვერცხლმკერდით და აბრეშუმის ძაფებითაა მოქარგული.

საინტერესოა, რომ ჩენე მუზეუმში დაცული ფაროხეთები ორი განსხვავებული ტიპის დეკორითაა მორთული, თუმცა სტილისტურად ორივე აშკენაზური წარმომავლობისაა და მე-20 საუკუნეშია დამზადებული.

ეკრანბულ ტრადიციაში ძალიან გავრცელებული იყო ასეთი ტიპის გამოსახულებანი, გვირგვინი, რომელიც მიუთითებს სეფერთორის გვირგვინზე, ლომებს (იერუსალიმის სიმბოლო) მოსეს ათი მცნება უჭირავთ, არწივებს კიდევ ერთი გვირგვინი და ქვემოთ მენორა – სინაგოგის სიმბოლო. მეორე ფაროხეთზე განსხვავებული, მაგრამ ასევე გავრცელებული დეკორია: სტილიზირებული ოთხი სვეტი, რომელიც თაღივით იკვრება და მცენარეული და ყვავილების მოტივებით მდიდრულადაა ორნამენტირებული.



ფაროხეთი – სეფერთორის კარადის ფარდა. XIX ს.

აბრეშუმის ქსოვილი და ძაფი, ფარჩა, ოქრომკერდი, ნამაგრი და ორმხრივი სითვი. 186X113.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ისრაელში ერთი კვირა იმყოფებოდა. მას თანახმდა მრავალრიცხვოვანი მრევლი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მრევლთან ერთად მოილოცა წმინდა ქრისტიანული ადგილები, დამისთევით ლოცვა ჩაატარა იერუსალიმის დიდ ქრისტიანულ ტაძარში.

ქართული ეკლესის მეთაური შეხვდა ისრაელის პრეზიდენტს შემონ პერესს და ქნესეთის თავმჯდომარეს — რუბენ რივლინს. შეხვედრა შედგა კათალიკოს-პატრიარქსა და ისრაელის მთავარიაბინებს — იონ მეცენატს და შლომო ამარს შორის.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ისრაელში

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა საჩუქრაში ჩაიტანა ბიბლიური მეფე დავითის აკლდამისთვის, ეს გახლავთ ფარდა – „ფაროხეთი“. ფაროხეთი მოქსოვილია ქართველი ოსტატების მიერ აბრეშუმითა და ოქროს ძაფებით. ხელოვნების ამ ნიმუშზე სპეციალისტები რვა თვის განმავლობაში მუშაობდნენ, იტყობინება გაზეთი — „ედიოთ ახრონოთ“. მთავარ რაბინებთან — შლომო ამართან და იონ მეცენატთან შეხვედრის დროს პატრიარქმა განაცხადა, რომ მისთვის დავით მეფე ყველაზე პატივსაცემი ფიგურაა და უფლება ითხოვა ფარდა მის საფლავზე — სიონის მთაზე მიეტანა.

როგორც „ედიოთ ახრონოთ“ აღნიშნავს, რაბინები ფარდით აღფრთოვანდნენ. იერუსალიმში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ არც ერთ სასულიერო პირს ებრაელი მეფისთვის მსგავსი საჩუქრაში არ ჩამოუტანია. ილია მეცენატ „ფაროხეთი“ დავით მეფის საფლავზე მიიტანა, შემდეგ კი გოდების კედელი მონახულა.

20 თებერვალს სემ კონგრესის პრეზიდენტის გ. მირილაშვილისა და წმინდა წიგნების მთავარებლს შალომ დავიდის ინიციატივით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი შეხვდა ისრაელში

მცხოვრებ ქართველ ებრაელობას. ეს შეხვედრა ქ. ხოლონის სადღესასწაულო დარბაზში „არგამანში“ გაიმართა. პირველი სიტყვა თქვა ზივა შალომ დავიდმა. ქართული ქრისტიანული ეკლესის მეთაურს გულითადად მიესალმნენ გ. მირილაშვილი, შ. ცური, ისრაელის ელჩი საქართველოში ცხაკ გერბერგი და სხვ.

ისრაელის ქართველ ებრაელობას გულთბილი სიტყვით მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II.



ვერ იმაგობრებს ერთ სხვა ერებთან, თუ მას ცხოვრების ფასად არა
აქვს ქცეული რწმენა სიკეთისა და სიყვარულისა

(სიტყვა თქმული 2011 წლის 1 ნოემბერს ამპროლაურის სახალხო თეატრის სცენაზე)

გურამ ვაჩაძე

პატივცემულო თანამემამულებო, პატივცემულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

მოგესალმებით ყველას ამ ღირსეულ
დღეს, როცა ჩვენს სცენაზე იდგმება
დიდად ხმაგასმენილი მწერლის და
საზოგადო მოღვაწის, ბატონ გურამ ბა-
თიაშვილის პიესა „ვალი“ რაც, მეტად
გულთბილი ურთიერთობის გახსენებაა
პლანეტის ორი უძველესი, მარად მე-
გობარი ხალხის: ებრაელი და ქართველი
ხალხის ისტორიიდან. რაოდენ საამაყოა,
რომ ბატონი გურამი დღეს ამ დარბა-
ზშია.

მე თავს მოვალედ ვრაცხ ვიდრე
სპექტაკლი დაიწყებოდეს, მოკლედ მოგახსენოთ
ზოგიერთი ინფორმაცია ებრაელი ერის წარსული-
დან თუ დღევანდელი ისტორიიდან.

თითოეული ერის, ქვეყნის თუ სახელმწიფოს, თითოეული ცივილური ადამიანის ყოველდღიური საზრუნავ-საფიქრალი უნდა იყოს ხალხთა შორის სიყვარულის და პატივისცემის, მშვიდობის, თანასწორობის და თავისუფლების, ძმობის და მეგობრობის დამკვიდრება. კაცობრიობის ისტორიიდან სიამაყით უნდა დავასახელოთ ქართველთა და ებრაელთა ისტორია, რომელთა კავშირი 26 საუკუნეზე მეტ დროს ითვლის, ეს თარიღი რა თქმა უნდა, პირობითია, მაგრამ ეს თარიღი ითვლება საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების დროის საზომად. რაც, რასაკვირველია, მაშინდელ ისტორიულ სინამდვილეში გასაოცარი მოვლენა იყო. მართალი ვიქები, თუ აქვე გავაკეთებ ხაზგასმას: ჩვენს სამშობლოში, ქართველთა საცხოვრისში, ადამიანთა მოდგმის, განურჩევლად მისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მდგომარეობისა — პატივისცემა და მეურვეობა უპირველესი ღირსება და მოვალეობა იყო. ეს იყო ეროვნული ღირსება, ცხოვრების უნიკალური წესი, ისტორიის ერთობ შორეთიდან მოდის. ამან განაპირობა ისიც, რომ საქართველოში სხვადასხვა საუკუნეებში 100-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი შემოსახლდა — თავიანთი საცხოვრისიდან ნებით გადმოხვეწილნი თუ ძალით გადმოსახლებულნი. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა ვერ გაამართლა. ალალად მინდა თქვენს წინაშე განვაცხადო: ებრაობმა ხაოხმა ყველაზე უკონისაო ააითავისა არა

მარტო 26 საუკუნის შემდეგი გადასახედიდან ერთად, ძმურად გატარებული ცხოვრების სითბო და სიყვარული, ერის ისტორია, რომელიც ერთობ უფრო შორეთიდან მოდის. აქ მინდა ერთ გარემოებასაც მივაქციო თქვენი ყურადღება: ვერ იმეგობრებს ერი სხვა ერებთან, თუ მას ცხოვრების წესად არა აქვს ქცეული რჩმენა სიკეთისა და სიყვარულისა. არა ძალა, არამედ ცოდნა და გონიერება უნდა იყოს ყოველი ერისთვის სხვებთან მიმართებაში ურთიერთობის მოსაგვარებლად, ყველას უნდა ახსოვდეს: მხოლოდ ცოდნა, განათლება და ადამიანის მოდგმის სიყვარულია ის ძირითადი ბერკეტები, რაზედაც უნდა დაშენდეს კაცთა ცხოვრება. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ ცნებებს, ებრაელმა ერმა, ყველაზე უკეთ დასდო პატივი დასაბამიდან, რითაც მან დღეისათვის ჩვენს პლანეტაზე შექმნა ძლიერი სახელმწიფო.

ცოტა რამ კიდევ გავიხსენოთ ისტორიიდან: ისტორიაში ყველაზე მეტად ცნობილია ებრაელ დიდ მოღვაწე ხელისუფალთა: საულის, დავითის და სოლომონ ბრძენის სახელები, რომლებმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII-XI-X საუკუნეებში შექმნეს ძლიერი სამეფონი. ცნობილია, ისიც, რომ ნაბუქოდონისორმა აქ. წ. VI საუკუნეში სისხლის ღვრით და ტანჯვა-ნამებით გარეკა აღთქმული მიწიდან ებრაელი ერი, რომელთა დევნასაც აგრძელებდნენ მერმინდელი, ახალი დროის ტირანები. დევნილი ებრაელობა გაფანტული იყო 102 ქაყნის ტირიტორიაზე. ძველ საზოგადოებაში მან-

გურამ ვაჩაძე ერთ-ერთი იგათობანია, ჩვენი ქვეყნის დაპა-ქალაქების ცხოვრებას, ყოველდღიურობას აზრსა და ფერს რომ მატებენ.

საქართველოს კალაპეპში ყოველთვის იყვნენ და, როგორც ვეღავთ, კვლავაც არიან, ცოდნით, კართული დარგაის სლოვით და პატიოსნებით გამორჩეული ადამიანები — ისინი ამა თუ იმ რაიონს, კალაპს ამშვენებან. პ-ნი გურამ ვაჩაძე ისევე ამშვენებს ამპროლაურის ყოველდღიურობას, როგორც ამპროლაური, მისი გამრჯვე და წესიერებით აღვისილი მოსახლეობა — საქართველოს. მას ამპროლაურში მოუნია იცხოვროს თანამედროვე კართველი ინტელიგენტის ცხოვრებით. მინდა ვისარგებლო შეამთხვევით და პ-ნ გურამ ვაჩაძეს „მენორას“ ფურცლებიდან მივუღოც დაგადების 80 ცლისთავი.

ରାଜ୍ୟ ପାତ୍ରକାଳୀନ

აპალებიკოსი

შედეგს ვერ მოიტანს. ისტორია მხოლოდ განვითარების დიალექტიკურ კანონებს ემორჩილება ყველა დროში.

მინდა თქვენის ნებართვით, გავაგრძელო ცი-
ფრების ენით ტოლსტოის მოსაზრება, თუ ვინ
არიან დღეს ებრაელები.

ძილზე ყველზე მტანჯველი იყო ეგვიპტის მეფე-თა-ფარაონების დინასტიის ტყვეობაში ყოფნა, საიდანაც დიდი ხნის შემდეგ ებრაელი ხალხის უკვდავმა შვილმა მოსემ გამოიყვანა მშობელი ხალხი და უდაბნოსა შინა 40 წლის განმავლობაში ხეტიალის შემდეგ განწმინდა გადარჩენილნი შიშისა და ებრაელთა მოდგმის, მათი რწმენისათვის ყოველგვარი მიუღებელი დანალექისაგან. მხოლოდ მაშინ დააბრუნა ისინი აღთქმულ მინაზე. ცოდნა, რწმენა და იდეა იყო, არის და იქნება ებრაელი ხალხის მარადიული სიცოცხლის გენეტიკური კოდი, რომლის მოსპობა ვერ შეძლო დიქტატორმა ადოლფ ჰიტლერმა, რომელმაც მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში მოსპონ 6 მილიონზე მეტი ებრაელი. გენოციდი და დევნა იყო ებრაელი ხალხის მუდმივი ბედისწერა, ჰკლავდინენ და მაინც დგებოდნენ ფეხზე. ებრაელი ხალხის ისტორიას სიკეთის სათქმელადაც შეხებიან. აյ მხოლოდ ერთი პიროვნების, დიდი ლევ ტოლსტიოს 1891 წლის წერილს — „რა არის ებრაელი?“ რამდენიმე მოსაზრებას მოვიტან:ებრაელი წმინდა არსებაა, რომელმაც ციდან მუდმივი ცეცხლი მოიპოვა და გაანათა მინა და მასზე მცხოვრები, იგი წყაროა, რომლიდანაც დანარჩენმა ხალხებმა რელიგია და რწმენა აიღო; ებრაელი — კულტურის პირველი აღმომჩენია. წმინდა მინაზე ოდითგან დაუშვებელი იყო უვიცობა და უმეცრება — უფრო მეტად, ვიდრე დღევანდელ „ცივილიზებულ“ ევროპაში — უფრო მეტადაც იმ ბენელ ეპოქაში, როცა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს არად აგდებდნენ. რაბი აკივა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოიდიოდა, სხვა სასჯელის სრულიად შესაძლებელ ფორმად რომ ითვლება ყველაზე კულტურულ ქვეყნებში.

ებრაელი თავისუფლების პირველადმომზენია იმ პირველყოფილ ხანაშიც კი, როცა ხალხი ორ კლასად იყოფოდა — ბატონებად და მონებად. მო-სეს მცნება კრძალავდა ადამიანის მონად ყოლას 6 წელზე მეტი ხნით. ებრაელი მოქალაქეობრივი და რელიგიური შემწყნარებლობის სიმბოლოა: „გი-ყვარდეს უცხოელი — მოძღვრავდა მოსე თავის ხალხს, — ვინაიდან თავადაც უცხოელი იყავი ეგ-ვიპტის ქვეყანაში“. ეს სიტყვები ითქვა იმ შორეულ ხანაში, როცა ბარბაროსთა მიერ დაშვეული იყო სხვადასხვა ხალხების მიერ ერთმანეთის და-ჰყორობა. ებრაული რელიგია რჯულშემწყნარებლობის საკითხში შორსა დგას იმ აზრისგან, რომ მიიმჩროს მიმდევრები. პირიქით: თალმუდში წე-რია, რომ თუ არაებრაელს უნდა ებრაული რჯუ-ლის მიღება, მას უნდა აეხსნას თუ რა ძნელია იყო ებრაელი და ისიც, რომ სასუფეველს ცათა შინა სხვა რელიგიის ჭეშმარიტი მიმდევრებიც დაიმკი-დრებენ. შეუძლებელია ასეთი ხალხის მოსპობა, — განაგრძობს ტოლსტოი, — ვინც ვერავითარმა ხოცვა-ულეტამ, ნამებამ ვერ გაანადგურა, ვერც ცეცხლმა და ინკვიზიციის მახვილმა შეძლო აღე-გავა პირისგან მიწისა, ვინც პირველმა აღიარა ღვთის სიტყვა, ვინც ასევე დიდხანს ინახავდა წი-ნასწარმეტყველებას და გადასცა იგი მთელ კაცო-ბრიობას. ებრაელი უკვდავია, იგი მარადისობის განსახიერებაა!“

აი, ჩემო მსმენელო, რაოდენ პარადოქსულია

ისტორიისთვის გერმანული ფაშიზ-
მის მესაჭის დიქტატორ ჰიტლერის
არაადამიანური დანაშაული ებრაელი
ხალხის და საერთოდაც არაგერმან-
ული რასის მიმართ. ამ მოსაზრებას
დღეს ცალსახად იზიარებს ცივილური
სამყაროც. დიახ, ისტორიას სამარ-
თლიანი განაჩენი გამოაქვს უამიდან
ჟამზე. ცხადია, პარალექსებიც იყო და
იქნება კიდევაც, მაგრამ დრო თავი-
სას ითხოვს. ყველას უნდა ახსოვდეს,
რომ ისტორიის სამსჯავროს წინაშე
წარდგომისას პირადი ამბიციების და
სუბიექტური თავის მართლებისათვის
მოხმობილი არგუმენტები სასურველ

ვერ მოიტანს. ისტორია მხოლოდ განვი-
ს დაიალექტიკურ კანონებს ემორჩილება
ღროში.

ა თქვენის ნებართვით, გავაგრძელო ცი-
ენით ტოლსტიოს მოსაზრება, თუ ვინ
დღეს ეპრაელები.
რიკის სამარადისო გზით რბიან საუკუ-
ცვლება მსოფლიოს გეოგრაფიული და
იკური რეკები, იცვლებიან თაობები.
დოებრივი და სახელმწიფოებრივი წყო-
ბი, დროის კვალიბაზე იცვლება ადა-
შეხედულებანიც. რასაკვირველია, არა
უვის დადებითად, მაგრამ ცივილიზაციის
უპრინა კანონი აუცილებლად მოითხოვს
თავან თავისუფალი აზროვნების უფლე-
ბიყენოს საზოგადოებრივ და სახელმწი-
ვი ასპარეზზე არა კაცთა შორის მტრო-
ალვიკებლად (რაც ეშმაკეულია), არამედ
ულისა და სიკეთის დასამკვიდრებლად.
სრულდეს: ბოროტსა სძლიოს კეთილმან!
და ამ მოწიდების განხორციელება მოუტ-
ყანას ბედნიერებას, რასაც დასაბამიდან
ებს ეპრაელი ერო. იდეა და რწმენა - აი, რა
დასაბამიდან ეპრაელ ხალხს, რომლით-
წინა სანადელს. ისრაელის სახელმწიფო,
იც შეიქმნა 1948 წელს, არის მსოფლიოს
კვეყნებისა და სახელმწიფოების წინა
ი, თავისი ეკონომიკით, კულტურით,
იდეოლოგით და საშინაო თუ საგარეო
იკით. ეპრაელთა გონება არა მარტო
ში, არამედ ყველა ქვეყანაში, სადაც
ცხოვრება და მოღვაწეობა უხდება,
უვის თავის სიტყვას ამბობს მსოფლიოს

ლური პრობლემების მოგვარებაში. ამის ჩად დავასახელებ რამდენიმე ციფრს: ხი მოტანილია ამბრეკ ბათოშვილის წიგ-ებრაელი ხალხის ისტორია". მსოფლი-კადასხვა დარღვებში: 594 კაცია ნობელის ა ლაურიატი აქედან ებრაელია — 114. ატები არიან მეცნიერების ისეთ წამყვან მში, როგორიცაა ფიზიკა — 35, ქიმია — წომიკა — 9, ფიზიოლოგია და მედიცინა ლიტერატურა — 9, მშვიდობის დაცვა — ვა. ეს მაშინ, როცა ისრაელის ტერიტო-სადაც ცხოვრობს 3,70 მილიონი კაცი ოფლიოს მოსახლეობის 0,036%. მაშინ ინგენიორთა — მსოფლიოს უდიდეს ქვეყანას თი ნობელისტი არ ჰყავს, ხოლო მეორე ქვეყანას, ინდოეთს, მხოლოდ ორი ჰყავს ული პრემიის ლაურეატი, ასევე ევროპის ქვეყანა ამ მხრივ დარჩენილია კითხვის ქვეშ. ცხადია, ეს მაჩვენებელი (ბ-ნი ამ-ითოშვილის წიგნი ოცი წლის წინ გამოვ-დღესიოდ ეს მაჩვენებელი შეცვლილია — თა ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაიზ-დე.) ბევრ რამეზე მეტყველებს, უპირვე-კი იმაზე, რომ ებრაელი ფრიად ნიჭიერი მის მოყვარეა. სადაც არ უნდა ცხოვრობ-მოღვაწეობდეს იგი ის ყოველთვის ერ-ბრაულ ძალას მის რწმენას, სიყვარულს ელი მიწისადმი არ ლალატობს წმინდა

იერუსალიმს და ფიცით არის შეკრული: „რამეთუ დაგვინებუ, შენ, იერუშალამ, დავიზნებულიც იქნას მარჯვენაცაა ჩემი“. მოდით, აქვე ისიც ვთქვათ, რომ მეორე მსოფლიო ომში, იმ ომში სადაც ნაციზმი გეტოებში, გაზის კამერებში თუ ბრძოლის ველზე მიღიონხობით ებრაელი დაიხოცა, 129 საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. დამაფიქრებელია ებრაელი ხალხის სპორტული მონაცემებიც. თითქმის ყველა წამყვან მიმართულებებში საკმაოდ ბევრი ჰყავთ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები. საინტერესოა ეს ერი, რომელთა შვილებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უფრო მეტნი არიან, ვიდრე ისრაელში (სულ: 14 მილიონზე ცოტა მეტი) რა ძალისა და ნიჭის, რა რჩმენით არიან მოცულნი, რომ ურთულეს ეპოქაში დიდი გლობალური შედეგებით იღვნიან პლანეტაზე. სწორედ ასეთ ხალხთან მეგობრობა და ურთიერთობა იძლევა დადებით შედეგებს. არ შემცდარან ებრაელთა წინაპრები და არც ჩვენი ერი და მისი ხელისუფალნი, როცა საუკუნეთა გრძელ გზაზე მხარდამხარ აკეთეს და აკეთებენ დღესაც სასიკეთო საქმეს. ებრაელი ხალხის შვილები შორეული წარსულიდან საქართველოში მცხოვრისნი, დამოუკიდებლად აღიარებენ ქართველთა ამაგს ისინი ხომ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთში, მთასა თუ ბარში კომპაქტურად, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან იყვნენ დასახლებულნი, ძმობა და მეგობრობა სუფევდა ყოველთვის. ორივე ერმა და მათმა შთამომავლობამ იცოდა ერთმანეთის ფასი. მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეში იდგა ჩვენი ასომთავრული ანბანი. ქართული დამნერობა, ივრითი, ამ ერს შორის ღალატს და ორპირობას არასდროს ჰქონია ადგილი. ამიტომ არის, რომ დღეს საქართველოში პროცენტულად ყველაზე მეტი სინაგოგაა. როგორ არის ქართულ ლექსიკონში ტოპონიმებივით შემორჩენილი კულაში, ლაილაში ებრაული კომპაქტური დასახლებანი. ქუთაისში, საჩხერეში, ონში და ბევრ სხვა დაბა-ქალაქში. აქ სუფევდა სიცოცხლე. დღეს კი ... დიახ, დღეს ჩვენი სამშობლო ბევრი მხრიდან, სოფლიდან, დაბიდან, რაიონიდან, თუ ქალაქიდან ებრაელთა დიდი ნაწილი დაიძრა ძველთაძველი აღთქმული მიწისკენ და ამაში არაფერი არ არის გასაკვირი. ქართველ ებრაელს ხომ ორი სამშობლო არგუნა გამჩენმა დაბადების ადგილი — მშობელი საქართველო და შორეულ წინაპართა აღთქმულ მიწაზე მკაფიოებით აღდგენილი ძლიერი, დამოუკიდებელი ქვეყანა — ისრაელი. ღმერთმა დალოცოს გენის და ჯიშის უკვდავება ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ვფიქრობ, არაფერს არ დააკლებს დღვევანდელ
შეხვედრას თუ ჩვენი მხრიდანაც მოვიტან დამახას-
იათებელ მონაცემებს წარსულიდან. ზემოთ ითქვა
ებრაელთა სალოცავების — სინაგოგების შესახებ.
ახლა კი მინდა სიამაყით აღვნიშნო ერთი ფაქტი:
არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ
არქიტექტურით გამოირჩეოდა და ასეა დღესაც
ონის სინაგოგა, რომელიც 1895 წელს ააშენა ონის
ჯამაათმა. სინაგოგის აშენების 100 წლისთავზე,
რომელიც ფართო მასშტაბით აღინიშნა 1995 წელს
მოწვეული იყვნენ ებრაელთა წარმომადგენელები,
არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ
საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ყველაზე მეტი კი
ისრაელიდან იყვნენ მოწვეულნი. შეკრებაზე სი-
ტყვით გამოსულმა მაშინდელმა საქართველოს
მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ სავსებით სწორი
შეფასება მისცა პლანეტის ორი ძირძველი ხალხის:
ქართველებისა და ებრაელების ისტორიულ ძმო-
ბას და მეგობრობას, რომელიც ფართოდ იქნა გაშ-
უქებული რადიო-ტელევიზიის და პრესის მეშვეო-
ბით.

მასშივრებელის ცრემლიც დაიღვარა
ონიდან ისრაელში წასული ადამიანების ურთიერთ
შეხვედრებზე.

ასეა, ბევრი რამ იცვლება უამთაბრუნვაზე, ბევრიც კი ხსოვნაში იღექება. ჩემს მეხსიერებას შემორჩა რაჭიდან ებრაელთა ისრაელში წასვლის სურათები. რა ტკივილი იყო ჩვენთვის უფროსი თუ უმცროსი თანაშეზრდილისათვის განშორების წუთები. როგორ ცრემლით, სიყვარულით, მანქანების საყვირებით იცლებოდა ზემო თუ ქვემო რაჭის ებრაელთა საცხოვრისი. ძნელია დაძმობილებული ხალხის ერთმანეთისგან დაცილება. ურიგო არ იქნება თუ ამ შემთხვევაში გავიხსენებთ ძველ ებრაელთა დიდი შვილის, ონის ებრაელთა რაბინის დავით ბააზოვის გამოსკლას გერმანიის

შალაქ მაინის-ფრანგურტის ებრაელთა შეხვედრაზე 1913 წელს, როცა მომსხვენებელმა ტკივილით აღნიშნა: „მსოფლიოში არ არის ქვეყანა სადაც ანტისემიტი მზი არ არსებობდა“. ბატონმა დავით ბააზოვმა ადგილიდან უპასუხა: „არის ასეთი ქვეყანა, ეს საქართველოა პატარა ქრისტიანობის ერი, ვისთანაც ჩვენ უკვე 2500 წელია ვცხოვრობთ და არ გვიგრძვნია სიძულვილი. არ გვიგრძვნია უფლებების შელახვა. საქართველოში არ ყოფილა გენოციდი, დარბევები, დისკრიმინაცია.“ ასეთი განცხადების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხშენამომდგარა და ოვაცია გაუმართავს. დასანინია, რომ ეს პიროვნება გასული საუკუნის 30-იან წლების რეპრესიების პერიოდში დაპატიმრეს და გააცმის ირეს, საიდანაც დაბრუნებული 1947 წელს გარდაიცვალა და ანდერძით დაუბარა შევის „დადგება დრო და ჩვენ აღთქმულ მინაზე დავპრუნდებითო“, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეს სურვილი და სხვა სურვილები აღსრულდა და ებრაელი ხალხი თავის ვალს პირნათლად იხდის ღმერთისა და სჯულის წინაშე.

ამ ხალხისთვის, ისტორიის მიმართ, ქართველი ერის ღირსეული შვილები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწენი ყოველთვის იჩენდნენ გულისხმიერ დამოკიდებულებას, ინერბოდა წიგნები, ნარკვევები, წერილები პრესაში, გადაიცემოდა რადიო-ტელევიზიით ებრაელთა ცხოვრების ამ-სახველი რეპორტაჟები, ფართოდ იყო კარები ლიაუმალლეს სასწავლებლებში, სახელმწიფო სამსახურებში და სხვა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო დიდი მნიგნობარი განსხვავებული ზაქარია ჭიჭიაძე, რომელმაც 1904 წელს დაწერა წიგნი ქართველი ებრაელების შესახებ. ასევე მადლიერებით მინდა მოვიხსენიო დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი, აწგანსვენებული ლევან სანიკიძე, რომელმაც საკამაოდ დიდტანიანი წიგნი გამოსცა ებრაელი ხალხის ისტორიაზე, ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობაზე, ქართულ სცენაზე დადგმულია ებრაელი ხალხის ცხოვრების ამსახველი პიესები და ბევრი სხვა, მაგრამ, როგორც ითქვა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ერთობ ბევრია, იმ პირთა შორის, რომლებიც წავიდნენ რაჭიდან ისრაელში შემიძლია ბევრი მეგობარი დავასახელონ. მაგრამ ერთ-ერთი პირველთაგანი დანიელ ხახიაშვილია, რომელმაც მთელი ცხოვრება, ნიჭი და ენერგია უძღვნა ქართველი და ებრაელი ხალხის ცხოვრებას, ამ ხალხების ძმობას და მეგობრობას, მის მხატვრულად ასახვას. აქედან ისრაელს უმღეროდა და იქიდან საქართველოს უმღერის დღესაც, მაღალი სულით და ალალი გულით. ეს პიროვნება სახეა ყველასთვის კეთილი კაცისა, ადამიანისა, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაეგბით, სწორედ ასეთი კაცებია საჭირო დღეს გონიერების, პატიოსნების, სიკეთისა და ძმობის ხიდების გასადებად ხალხთა შორის. იცოცხელე დიდხანს, ჩემ დანიელ! აქაც შენს მშიბელ რაჭაში და მანდ ალთემულ მინაზე — ისრაელში. გნამდეს, რომ პირადად შენი სიყვარული და პატივისგამა ჩემთვის დარჩება სამარის

კარამდე. გთხოვ პატივისცემით მომიკითხო მანდ მყოფი რაჭის ებრაელობა.

ქალაბატონები და ბატონები! ნება მომეცით
თქვენი ყურადღება მივაკციო იმ სათქმელს, რაც
თქვენი თანდასწრებით მინდა ვუთხრა ებრაელ-
თა დიდ შვილს ბატონ გურამ ბათიაშვილს, რომ-
ლის პიესაც „ვალი“ პირველად იდგმება ჩვენს
სცენაზე დღეს. წინასწარ ვაცხადებ, რომ ვინც
შეეცდება პრეტენზია განაცხადოს ნათქვამის
სრულყოფილებაზე, მიუხედავად ქართული ენის
უდიდესი ლექსიკური ფონდისა, ცალსახად ერთობ
ძნელი შესასრულებელი იქნება ეს. მაგრამ ღრმად
ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ბატონი გურამი
დიდსულოვნად მომიტევებს თუ ყველაფერს ისე
ვარ გამოვხატავ, როგორც მას და მის დიდი შემოქ-
მედებით ცხოვრებას შეეფერება.

ნათქვამია ადამიანთა ნააზრევი, სურვილების და ფიქრების განხორციელების უპირველესი საცდელი პოლიგონი ცხოვრება, პრაქტიკაა. შრო-მის შედეგია და ბევრიც სხვაცაა ანგარიშგასასწევი. ჩემდათავად მე, აქსიომად მიმაჩნია: კეთილ ნერგზე კეთილი მორჩი იზრდება. ძლიერ, ჭკვიან და გონიერ ერში შთამომავალიც უმტეს წილად სასიკეთოდ წარმართავს ცხოვრებას. ნულიდან დაწყება ყოველთვის ძნელია, მაგრამ არცთუ იმ-ვიათად აუცილებელია. ყველაფერი ცხოვრებაში ერთმანეთთან, ჯაჭვისებურად რგოლებითა გადაბმული და ყოველდღიური ზრუნვის საგნად თუ არ არის ქცეული იგი, ცხადია, შედეგიც სასურველი ვერ იქნება. ეს წინათქმა იმისთვის მჭირდება, რომ ამ თვალთახედვით ბატონ გურამს ისტორიულად ბედმა დაანათლა ქართველი და ებრაელი ხალხის შვილობა, რასაც ბრნებინვალედ ართმევს თავს. ამაყად მინდა განვაცხადო, რომ იგი ტოლს არ დაუდებს არცერთ ღირსეულ მამულიშვილს საქართველოს სიყვარულში და ტოლს არ დაუდებს არც ართ ებრაელს — ებრაელი ერის სიყვარულში. ამის თქმის უფლებას მაძლევს მისი ცხოვრების განვლილი გზა, მისი შემოქმედება. იყო ორი ღირსეული ერის, ღირსეული შვილი ეს უფლისგან დიდი წყალობაა!

მე მინდა მადლობა გითხრათ, ბატონზ გურამ ჩვენი ქვეყნის, ქართველი ხალხის წინაშე დამსახურებისათვის. ეს მადლობა, რასაკვირველია, ჩვენი ერის მიერ თქვენდამი ნათქვამი მადლობის ნაწილია. მთელი თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება, თქვენი აზრის და გონების განაცხადი, რაც თავმოყრილია უამრავ წიგნში, ნათელი დასტურია, ნათელი სახეა ნიჭის, უდრევი ნებისყოფის, ძმობის, მეგობრობის და სიკეთის დამკვიდრებისათვის მუხლასუხრელი და მკლავმოუღლელი შრომისა. ღმერთმა დაგანათლათ ყოველივე ზემოთქმული და ღმერთივე წაგართმევს თქვენს ცხოვრებას სამომავლოდაც — ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ურლვავი გზით.

შალომ ისრაელ

ადონაი ეხად!

გაუმარჯოს ქართველი და ისრაელი ხალხის
მარათიულ ძმობას თა მეგობრობას!



მანახეა ელაზარი – „ხესვე ელიაზუს“ შექმნის სათავეებთან

„მენორას“ სტუმარია „ჯოითის“ პირველი წარმომადგენელი საქართველოში მცხაველ ელაზარი

— ბატონო მენახემ 90-იან წლებში „ჯოინთს“ ხელმძღვანელობდით. დაახასიათეთ ის პერიოდი...

— დიახ, 90-იან წლებში მე საქართველოში, მთელ კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში „ჯონითის“ წარმომადგენელი ვიყავი. 1992 წლის ბოლოს საქართველოში ოფიციალურად გავხსენი „ჯონითის“ წარმომადგენლობა. იმ პერიოდში საქართველოში საბჭოთა კავშირის დამლისა და სამოქალაქო ომის გამო ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. საქართველოში იყო საკვებისა და სამედიცინო ობიექტების დეფიციტი, ყველა ორგანიზაცია დაქცეული და დანგრეული იყო. „ჯონითის“ მიზანი გახლდათ და დღესაც ასეა, დაეხმაროს მსოფლიოში გაფანტულ ებრაელობას, განსაკუთრებით კი მათ, ვინც გაჭირვებაში იმყოფება. უუნევდით სოციალურ, ეკონომიკურ დახმარებას, ასევე ვაძლევდით განათლებას, რათა მინიჭებოდათ ებრაული თვისებრიობა და ხასიათი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ებრაელებს არასოდეს დაუკარგავთ საკუთარი ეროვნული სახე, ისინი ყოველთვის მზად იყვნენ ერთმანეთის დასახმარებლად. საბჭოთა კავშირის პერიოდში, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სინაგოგების ფარგლებში გაჭირვებულების დახმარება ხდებოდა. იმხანად საუბარი იყო 18 ათას ებრაელზე და მათგან 90 % გაჭირვებული იყო. თორა გვეუბნება ჭალარას წამოუდევ ფეხზე

— ვატიცი ეცი ძობუცს. ებრაული ყოფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი ერთმანეთის დახმარება — ქველმოქმედებაა. ასე ხდებოდა ქართულ სინაგოგებშიც. არ იყო შემთხვევა, რომ რაიმე დახმარება არ ყოფილიყო დღესასწაულებში — იქნებოდა ეს ფესახი, ფურიმი, რომ ჰაშანა თუ სხვა. მაგრამ ამ პერიოდში ამის ორგანიზებაც კი როთული გამხდარიყო, რადგან საქართველოში ომის შემდეგ დარჩენილი ებრაულობა გაჭირვებაში ცხოვრობდა — სხვისი დახმარების საშუალება არ ჰქონდა. იმ პერიოდში პირველი, რაც გავაკეთე მოხუცებულების დახმარება იყო. იმ დროს მხოლოდ ხანშიშესულებს კი არა, ყველას ძალიან უჭირდა და დახმარებას ყველა საჭიროებდა. პარადოქსი ის არის, რომ იმ დროს სურსათის შოვნაც კი ძალიან რთული საქმე იყო. იყო ასეთი ორგანიზაცია „მირიამი“, რომელსაც იმ დროს რივეკა კრუპნიკი ხელმძღვანელობდა. მისი საშუალებით ჩვენ მოვახდინეთ პროდუქტის პირველი განაწილება იმ ოჯახებზე, რომლებიც დახმარებას ყველაზე მეტად საჭიროებდნენ. ასეთი ოჯახი კი ძალიან ბევრი იყო.

— ალბათ, ამგვარმა სიტუაციამ განაპირობა საქველმოქმედო სახლის — „ხესედ ელიაპუს“ ჩამოყალიბება...

— დას, 1992-93 წლებში გაჭირვებულებს დახმარებას რეგულარულად ვუწევდით. თუმცა, არ იყო ორგანიზაცია, რომელიც ერთ ჭერქვეშ იარსებებდა და ყველა საქმეს გაუწევდა ორგანიზებას. მის შექმნას გარკვეული თანხები სჭირდებოდა. ამერიკიდან საქართველოში მოვიწვიეთ ერთ-ერთი ცნობილი ეპრაელი ქველმოქმედი ოჯახი, გავაცანით იმდროინდელი საქართველოს ყოფა და ეპრაელი ერის ცხოვრება. მათ ფულადი დახმარება გაიღეს, იმისთვის რომ ჩამოყალიბებულიყო დაწესებულება „ხესედი“. ორგანიზაცია 1997 წელს გაიხსნა. დიდუბის რაიონში შევიძინეთ შენობა საკუთარი ეზოთი და ამ სახლის პირობებში ჩამოყალიბდა ყველა ის წესი, რითიც ხესედი ხელმძღვანელობს. გაიხსნა სასადილო ოთახი, დაპურება ადგილზე ხდებოდა და ვისაც მოსვლა არ შეეძლო, მათთვის საკვები სახლში მიჰქონდათ. ჩამოყალიბდა გასართობი წრები. იმ პერიოდში დაინიშნა „ხესედის“ პირველი დირექტორი — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი მალხაზ (ფილხაზ) ნანიკაშვილი. იგი ახლა ისრაელში ცხოვრობს. მან მოვალეობას კეთილშობილურად გაართვა თავი.

ს პერიოდი დამახსასიათებელია იმით, თუ რამ-დენად სტირდებოდა საქართველოს ებრაელობას დახმარება. ამაში ვგულისხმობ როგორც ქართველ, ასევე აშკენაზ ებრაელებს. რამდენიმე წლის შემდეგ მე დავტოვე ეს ორგანიზაცია. შემდეგ კიდევ ერთმა ამერიკულმა ოჯახმა გაიღო სახსრები და „ხესედი“ უფრო კარგ შენობაში გადავიდა. წესია, რომ თემმა აუცილებლად უნდა გასწიოს ქველმოქმედება გაჭირვებულთათვის. რადგან ქართველ ებრაელებს ეს არ შეეძლოთ, საშველად მოვიდა ამერიკელი — ებრაელი ბიზნესმენის — პოზიციის მიზანი, რომელსაც ამ შენობის ყიდვასა და შემდეგ კეთილმოწყობაში ასევე დაეხ-



მარნენ ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი
და ქართველი ებრაელი ბიზნესმენებიც. დაწვრ-
ილებით არ ვარ ჩახედული დღევანდელი „ხეს-
დის“ საქმიანობაში, თუმცა, დარწმუნებული ვარ,
რომ დღევანდელი დირექტორი ბატონი რეზო ძა-
ლიან კარგად უძლვება დაკისრებულ მოვალეობას.
მაქსიმალურად ხდება გაჭირვებულების დახმარე-
ბა და დაპურება. ბევრს უნდა სხვისი დახმარება,
მაგრამ ყველას არ გამოსდის და ის, ვინც ამას
ახერხებს, ძალიან დასაფასებელია.

— საკმაოდ რთულ პერიოდში მოგიწიათ მუშაობა...

— იმ დროს არ იყო წყალი, დენი, ჩვენ უნდა გვა-
ფიქრა, რომ ზამთარში ხალხისთვის შეშა გვეყიდა,
ან გათბობის ალტერნატიული წყარო მოგვენახა.
სხვათა შორის, ბევრი ადამიანი იმ დროს შიშილის-
გან და სიცივისგან გარდაიცვალა. სიკვდილიანო-
ბის პროცენტი, მით უმეტეს მოხუცებულებში იმ
დროს ძალიან გაიზარდა. ჩვენი მიზანი, სწორედ,
რომ ამ ხალხის გადარჩენა იყო. ყოველდღიურად
ბრძოლა გვიწევდა. იყვნენ ადამიანები რომლებსაც
გარეთ გასვლაც კი არ შეეძლოთ. უმტესწილად
მოხუცები იყვნენ ცუდ მდგომარეობაში. ქართ-
ველ ებრაელებში ოჯახურ ტრადიციებს იცავენ
და მოხუცებს პატრონობდნენ. საქართველოში იყო
ბევრი ორგანიზაცია, იყო ენთუზიაზმი — ხალხს
სურდა ერთმანეთის დახმარება, მაგრამ არ არ-
სებობდა ამის ორგანიზებული სახე. მთელ პოსტ-
საბჭოთა სივრცეში ერთნაირად მძიმე სიტუაცია
იყო. ჩემი მოვალეობა გახლდათ სინაგოგებთან
ურთიერთობა. ახალგაზრდებისათვის გარკვეული
განათლების მიცემა. ბავშვებს ისრაელში სასწავ-
ლებლად ვუშვებდით. ახლა სალოცავში რომ ხახ-
მები არიან, ჩემი მუშაობის დროს სწორედ ისინი
გავგზავნეთ ისრაელში სასწავლებლად. მაშინ „არ-
იელის სკოლა“ ფუნქციონირებდა, გოგონები ის-
რაელში გავგზავნეთ სასწავლებლად, დაბრუნების
შემდეგ კი სწორედ „არიელის სკოლაში“ დაი-
წყეს მუშაობა. საქართველოს ებრაელობის დიდი
ნაწილი ისრაელში ომის პერიოდში წავიდა. სოხ-
უმში ებრაელების დიდი დასახლება იყო და იქიდან
ყველაფრის გარეშე გამოიქცნენ, ზოგს პირადო-
ბის მოწმობაც კი არ ჰქონდა. ჩვენ მათ ყველანაირი

დახმარება გავუნიეთ. მათ შორის იყო ერთი ქალ-ბატონი — სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი. დავებმარეთ, ისრაელში გავუშვით. შემდეგ მე მას შეეხვდი და მახსოვს მითხრა — მაშინ რომ არ დამხმარებოდით თავის მოკვლას ვაპირებდიო. იმ პერიოდში ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრი იყო. მაშინ ებრაელების ძირითადი ნაწილი თბილისში გადმოვიდა, რადგან პერიფერიებში ცხოვრება ძალიან გაძნელდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ძალიან კარგი საქმე — ებრაულ თემატიკაზე წიგნების გამოცემა. ქართულ ენაზე ბევრი წიგნი ითარგმნა და გაზიერ „მენორას“ დახმარებით გამოიცა. ამ დიდი საქმის მოთავე ბატონი გურამ ბათიაშვილი იყო. გაზიერ „მენორაც“ — ჩვენს დროში პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზიერი, რომელიც ებრაელობის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს, „ჯონთის“ დაფინანსებით გამოვიდა. საქართველოს ებრაელობას ჰქონდა საკუთარი კულტურული ცხოვრების ასახვის საშუალება. ამაში ლომის წვლილი მიუძღვის ბატონ გურამ ბათიაშვილს, რომელმაც გაზიერის გამოცემა თავის თავზე აიღო, მას შემდეგ თითქმის 20 წელია გასული. ჩემი აზრით, გაზიერი ნამდგილად ასახავს ქართველი ებრაელობის კარგსაც და ცუდსაც და ებრაელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგას. მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში მოვიდა მთავრობა, რომელმაც ყველაფერი მოაწესრიგა. ახლა სიტუაცია ბევრად გამოსწორებულია და აქ დარჩენილ ებრაელებს ცხოვრება ბევრად შეუმსუბუქდათ. ამასთან ერთად, „ჯონთსაც“ შეუმსუბუქდა საქმე.

ჩემს საქმიანობას ასევე უკავშირდება 1995 წელს გამართული ებრაელების პირველ საერთაშორისო ღონისძიება — ონის სინაგოგის 100 წლის იუბილე. ჩამოსული იყო „ჯოინთის“ პრეზიდენტი — ვოლფი. სახელმწიფოს მეთაურთან ბ-ნ ედ. შევარდნაძესთან შეხვედრა მთავრობის სასახლეში შედგა, დიდი დღესასწაული კი — ონში. ეს იყო საქართველოში ებრაელი ერის პირველი ღონისძიება, რომელსაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. საერთოდ, საქართველოში ებრაელებს ყოველთვის მეგობრულად ეპყრობოდნენ და ჩვენ 26 საუკუნის თბილი ურთიერთობა გვაკავშირებს.

კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: 1995 წელს, როდესაც „ჯონთის“ პრეზიდენტი ვოლფი საქართველოში ჩამოვიდა, პირველ საშუალო სკოლა-გიმნაზიას კომპიუტერები გადავეცით. მაშინ სკოლაში კომპიუტერი პირველად შევიდა. ოფიციალური მიღება გვქონდა. ბავშვებსაც ძალიან გაუხარდათ. ახლა მაგონდება არა მარტო ეპრაელ, არამედ ქართველ დაბეტიან ბავშვებს პირველად ჩვენ გადავეცით საზომი მოწყობილობები.

ქვეყნის რება თოხ ღერძზე დგას და ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი ქველმოქმედებაა. დღეს არიან
ადამიანები, რომლებიც ქველმოქმედებას უანგა-
როდ ეწევიან. ფირუზ კოჩინბაშვილი შესანიშნავად
უძღვება თავის საქმეს — ვიცი, რომ სინაგოგის
ხელმძღვანელობა გაჭირვებულების დასახმარე-
ბლად მაქსიმუმს აეტებს. „ხესედი“ და სინაგოგა
ერთმანეთს ავსებენ იმისთვის, რომ დაკმაყო-
ფილდნენ ადამიანები და იმედი მაქვს, რომ საქა-
რთველოდან გასული საკმაოდ შეძლებული ებრაე-
ლი ბიზნესმენები არ დაიშურებენ სახსრებს, რომ
სალოცავს და მთელ თემს დაეხმარონ. ქუთაისში,
გორში, სურამში, ფოთში, კულაშში, ახალციხეში,
ბათუმში დარჩენილი სინაგოგები ისტორიული
ძეგლებია და მათ მოვლა-პატრონობა სჭირდ-
ებათ. სასიამოვნო მოვლენაა ის, რომ თბილისის
ქართველ ებრაელთა სალოცავის შესაკეთებლად
მოსკოვში მცხოვრებმა ბიზნესმენმა დავით იაკო-
ბაშვილმა თანხები გამოყო და ახლა სარემონტო
სამუშაოები მიმდინარეობს. ეს დიდი საქმეა და
იმედი მაქვს, მის მაგალითს სხვა ბიზნესმენებიც
მიბაძავენ.

რას ვპითხ ულობთ

ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება

მთავარი რაბინის მ.შ.

აბიმელქ როზნებლატი

ებით.
ებით.
ებით.
ებით.

„და გააკეთეს ხელსაბანი სპილენძისგან სპილენძის საყრდენზე – ქალების სარკეებისაგან, რომელიც საკუთარი კეთილი წებით შეიკრიბნენ შეხვედრის კარავთან“ (ვაიაკჰელ).

მრავალი კომენტატორი ხსნის ამ ფასუქს. და მათი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მზადების ოთხი დონე:

ხიზკუნი გვიხსნის, რომ ეს ფრაზა ხელსაბანის ადგილსამყოფელზე მიგვითითებს. ის სამსხვერპლოსა და შეხვედრის კარავს შორის იმიტომ იყო მოთავსებული, რომ შესასვლელთან მოგროვილ ქალებს დაწენახათ და გახსნებოდათ, რომ თუ ისინი მეუღლებს უდალატებდნენ, მაშინ ხელსაბანი შეამონებდა მათ (როგორც ვსანვლობთ ამას თავში, რომელიც მოგვითხრობს „სოფას“ შესახებ). ამიტომ ხელსაბანი ცოტათი ჩრდილოეთისაკენ იყო გადაადგილებული მის უკეთ დასანახად. ამიტომ ამ ფასუქს ის ასე კითხულობს: „და გააკეთეს ხელსაბანი სპილენძისაგან მის სპილენძის საყრდენზე იმისათვის, რომ დაწენახათ ის შეკრებილ (ქალებს), რომელიც შეიკრიბნენ შეხვედრის კარავის შესასვლელთან“.

და უთხრა გ-ნმა მოშეს ასე: „გააკეთე სპილენძის ხელსაბანი სპილენძის საყრდენი – განასაბანად: და დადგი ის შეხვედრის კარავსა და სამსხვერპლოს შორის, და ჩაასხი მასში წყალი, და განიბანენ მასში აპარონი და მისი ვაუქები ხელებსა და ფეხებს თვისას, იქამდე, მანამ შევლენ ისინი შეხვედრის კარავში, განიბანებინ ისინი წყლით და არ დაიხოცებიან, სამსხვერპლოსთან მიახლოებისას სამსახურისათვის – რათა აემიონ ყოვლად დასაწველი მსხვერპლი გ-ნს, განიბანენ ისინი ხელებს და ფეხებს, და არ დაისჯებინ სიკვდილით: და იქნება ეს მათვის მარადიულ კანონად – მისთვის და მისი შთამომავალთათვის ყველა თაობებისათვის მათვის“. ვირის საკითხავ თავში „ქი თისა“ თორა აღნერს ჭურჭელს, რომელნიც არაა მოხსენიებული კვირის საკითხავ თავებში „თერუმა“ და „თეცავე“. ის არის სპილენძის ხელსაბანი და მისი სპილენძის საყრდენი. იმის მიზეზი, თუ რატომ ვკითხვება მხოლოდ ახლა თორა მათზე იმაშია, რომ ხელსაბანი და მისი საყრდენი ტაძრის სხვა ჭურჭელთა შედარებით განსაკუთრებული, განსხვავებული იყო. ისინი დაკავშირებული იყვნენ სამუშაოსთან მიქამდებად ვიდრე შევიდონენ „კოდეში“ (სინმინდეში). აქედან ჩვენ ვსწავლობთ მომზადების მნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით და დარითადი მზადება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიონმა ნიშანი უნდა დააყენოს, დადგას თავლების წინ და ეს ნიშანი გააფრთხოლებს მას – არ გასცდე დამვებულის ჩარჩოებს, არ გადაუხვიო გზიდან.

ევენ ეზერი წერს იმის შესახებ, რომ სარკეების დანიშნულებაა საკუთარი თავის უფრო მიმზიდველად, მაცდუნებლად წარმოჩინება. ქაშერმა ქალებმა მასზე უარი თქვეს და ტაძარს შესწირეს. და ახლა ისინი სულიერი სამუშაოსათვის ემსადებიან, შეიკრიბნერ რა შეხვედრის კარვის შესასვლელთან.

მზადების მეორე ეტაპი არის იმის შემონება, თუ რომელი ჭურჭლით ვსარგებლობთ. რა თქმა უნდა, ისინი მხოლოდ გარე შუამავლები არიან, მაგრამ მათზე ბევრია დამოკიდებული, თუ როგორ გავიცვლით ჩვენს გზას. ამ ჭურჭლებად ჩვენ ცხოვრების წესები გვევლინებიან. იმ წესებზე კი, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ, დამოკიდებულია შედეგი.

რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირდაპირ. ამ კომენტარზე დაყრდნობით შეიძლება დავამნიშვნელობას. ოველი მნიშვნელოვანი, არსებითი რამ დაგეგმვას და მომზადებას ითხოვს. და მისი წარმატება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი სწორად მომზადებული შეხვედრა გაცილებით უკეთესია სპონტანურად მოწყობილთან შედარ-

ბით. რეკანტი (კაბალისტი, რომელიც ცხოვრობდა იტალიაში 13-14 საუკუნეებში) გვიხსნის, რომ ქერინ ამ სარკეებს იყენებდა იმ ქალებისათვის შესახედად, ვინც ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლის შესანირად მოდიოდა, რათა არ შეეხდა ქალისათვის პირ

მორდეს მიხელაშვილი – 80



ჩემო საყვარელო მეგობარო, შენ ხომ ჩვენს სამეცნიერო წევზე იქნები, იქნებოდა ეს საქმიან შეხვედრებსა თუ სუფრაზე, ძალიან სასიამოვნო სტუმარი იყავი და ხარ, სასურველი ხარ შენი სიტყვა-პასუხის გამო, მოლხენის, გემრიელი ურთიერთობის გამო, განსაკუთრებით გამოვყოფი შენს სიმღერას – ყოველ მეგობრულ თავშეყრას რომ ამშვენებს. არართხელ გიმღერია, მათ შორის ჩემი დაბადების დღეებზე, თუ საოჯახო ლხინისას:

ოთხმოც წელს მიღწეული ვარ,
ამ ლექსის გამომთქმელია,
ამას მეტყველებს ჩემივე
ჭალარა თმა და წვერია,
ეგ საამური ცხოვრება
ფანდურზე დამიმღერია.

დღეს შენი 80 წლისთავზე გეუბნები: დაგიდგა ის დრო, რომელზეც ასე გატაცებით მღეროდი. ფანდურზეც გიმღერია, ამ ასაკთან ჯან-ლონით სავსე მიხვედი, მეც სიმღერით მოგილოცავ და გისურვება დალიან დიდხანს იყო მხნედ, ჯანსაღად, ახარებდე შენს ოჯახს და მეგობრებს!

შენი ამირან მიხელაშვილი

მორდეს მიხელაშვილს

ჩემო მორდეს, ჩვენო მეგობარო და ნათესავო!
გავიგე, 80 წლის გამხდარხარ, ძალიან ჩქარა გაიპარა დრო, ძალიან მოულოდნელად მოვიდა სერიოზული ასაკი. შენი 80 წლისთავზე მაგონდება სენაკსა თუ თბილისში გატარებული სიყმაწვილის ლამაზი წლები. შენ კარგი ოჯახის შვილი და ასევე კარგი ოჯახის მეთაური, ყოველთვის იყავი გამორჩეული.

გისურვება ასევე გაგეგრძელებინოს 120 წლამდე!
იხარე, იდლეგრძელე!

რეზო არენსი (არონაშვილი)

თბილისი – თელ-ავიზო



პერია „ერქა. სტუდია „თბილისში“ ჩემი სამი ალბომი აქვს გამოშვებული. ყოველივე ამის შემდეგ ხელოვნება გვერდზე გადავდე და მოსკოვში ბიზნესს მივყვანი ხელი. საქართველოში სტუდენტობის წლები მაქს გატარებული და ბევრი მეგობარი მყავდა. ადამიანს, რომელიც საქართველოში ერთხელ მაინც ყოფილა, შეუძლებელია ეს ქვეყანა არ შეუყვარდეს. საქართველოში ჩემი დაპრუნება განაპირობა ჩამოყალიბებულმა და აზრიანმა ხელისუფლებამ, რომელმაც ბიზნესის კეთებისთვის ნორმალური, მშვიდი ატმოსფერო და ყველანაირი პირობა შექმნა. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბიზნეს საქმინობის წამოწყება შეც გადავწყიოტე.

— რესტორნის გახსნამდე საქართველოში სხვა ბიზნესი გენონდათ?

— ერთი წლის წინათ გავხსენი ტოტალიზატორი „მაკაბი“, მაგრამ ამ ბიზნესში ახალბედა ვიყავი და როდესაც ღრმად ჩაიგიხდე, მივხვდი ეს ჩემი საქმე არ იყო, ამიტომ ტოტალიზატორი დავხურე, რის შემდეგაც რესტორნის გახსნა გადავწყიოტე. ამას გარდა, მოსკოვში ორი ქართული რესტორანი გვაქვს. ისრაელში სიმღერის დროს, რესტორნის ბიზნესში კარგად გავერკვი. თან რვა წელია, რაც მოსკოვში რესტორნები გვაქვს და ეს სფერო უკვე კარგად ვიცი. საქართველოში ვერ ვნახე ჩემთვის მისალები რესტორანი, სადაც საპანკეტო დარბაზი იქნებოდა, „თბილისი-თელ-ავიზში“ კი ეს გავაკეთე. ჩენ განსხვავებული სამზარეულო, სტუმრის მომსახურების მაღალი დონე და ორგინალური გასართობი შოუ-პროგრამაც გვაქვს.

— რომელი ქვეყნის სამზარეულო გაქვთ წარმოდგენილი?

— ჩვენს სამზარეულოში წარმოდგენილია როგორც ქართული, ეპრაული და ევროპული, ასევე სხვა ქვეყნების კერძებიც. დანტერესებული პირები მენეჯმენტის მათვები მისალებ კერძებს აუცილებლად იპოვნიან.

— ქაშერი საკეთი თუ გექნებათ?

— აუცილებლად გავმართავთ ხოლმე ეპრაულ სალამოებს, რომლებსაც ყველასთვის ცნობილი პიროვნება იცის მოშეულმდევანებებს. იცის მხარში დაგვიდგა და ბევრ საქმეში დაგვეხმარა. სხვათა შორის, ამ ტიპის საღამოების მოშეული მისი ინციდუალი იყო. გარდა ამისა, ყოველ საღამოს მომღერლებისა და მოცეკვავების მონაწილეობით შოუ-პროგრამა გვექნება. დიდი მაღალი მინდა გადავუხადო იმ მომღერლებს, რომლებიც პრეზენტაციაზე გვერდით დამიდგნენ, ასევე ყველა სადისტრიბუციო კომპანიას, აეროპორტის ხელმძღვანელობას, რომლებიც დაგვეხმარენ, ქალაქ თბილისის მერიას და საკრებულოს, განსაკუთრებით კი ბატონ მამუკა ახვლედიანს, რომელმაც რესტორნის გახსნაში მიიღო მონაწილეობა. ძალიან დიდი სურვილი მაქს გარდა ბიზნესისა საქართველოში ჩემი პროფესიით — სიმღერით დავპრუნდე. ახლა კი გამოვიყენებ პოეტ დოლო სუხაშვილის სიტყვებს:

კალელაშვილება

„თავის

გადამრჩენელს“ იმაზი არ გაუცრუვა

ისრაელის ნაკრების ძიუდოისტმა იოსებ (სოსო) პალელაშვილმა, იმედი გაუმართლა 12 წლის ბიჭს, რომელმაც ჩეხეთში სოსოს გამგზავრება დააფინანსა. 25 თებერვალს სოსო პალელაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ლონდონში გასამართლომ მიღების შეჯიბრებაზე ჩასული სუპერმარკეტში კბილის პასტის მოპარვისთვის დააპატიმრეს, მისი სიტყვებით კი ბრალდება უსაფუძვლოა. თუმცადა, ისრაელის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მისი სახლში დაბრუნდა.

ერთი კვირის წინ ძიუდოისტმი სკანდალში გაეხვა — დიუსელდორფში შეჯიბრებაზე ჩასული სუპერმარკეტში კბილის პასტის მოპარვისთვის დააპატიმრეს, მისი სიტყვებით კი ბრალდება უსაფუძვლოა. თუმცადა, ისრაელის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მისი სახლში დაბრუნდა გადაწყვიტა. ამავე დროს, სოსო მოვალეა ფედერაციას 600 ევრო გადაუხადოს: 200 ევრო ბილეთისთვის და 400 — გადახდილი ჯარიმისთვის. ამავდროულად, მას წერა დართეს, ჩეხეთში გამართულ შეჯიბრებაზე თავისი ხარჯებით წასულიყო, რადგან სწორედ იქ გადაწყდებოდა, მიიღებდა თუ არა მონაწილეობას ლონდონის ლონდონში ილიმპიადაში.

მიანი შემოვა თუ ებრაელი — გასუფთავებული ხორცი ყოველი მათგანისთვის კარგია. რესტორანს ქშერად გავაკეთებთ, ღორის ხორცისთვის კი ცალკე ადგილი გვექნება გამოყოფილი. გარდა იმისა, რომ გვაქვს 600-კაციანი დარბაზი, რომელიც ყველა წესის დაცვით ქაშერი იქნება და ღრმად მორწმუნე ებრაელს ჩვენთან სტუმრობა თავისუფლად შეეძლება.

— ვინ არიან რესტორნის დამფუძნებლები?

— ჩემი პარტნიორები გახსნავან: ანზორ მიშმაშვილი (ბუჭუნა), ელი მოძღვრიშვილი, აბული ელაშვილი, გია დავარაშვილი და აბეშა ელაშვილი. სულ ექვსი ვართ. ძალიან კარგი ხალხია, ჩემი მეგობრები არიან და ამ ღამაზ საქმეში, რაც ასე თელ-ავიზი — ქართულ-ებრაულ რესტორნის ჩამოყალიბება ჰქიანა მათაც მიიღეს მონაწილეობა.

— დღესასწაულებზე თუ გექნებათ განსაკუთრებულ პროგრამები?

— აუცილებლად გავმართავთ ხოლმე ეპრაულ საღამოებს, რომლებსაც ყველასთვის ცნობილი პიროვნება იცის მოშეულმდევანებებს. იცის მხარში დაგვიდგა და ბევრ საქმეში დაგვეხმარა. სხვათა შორის, ამ ტიპის საღამოების მოშეული მისი ინციდუალი იყო. გარდა ამისა, ყოველ საღამოს მომღერლებისა და მოცეკვავების მონაწილეობით შოუ-პროგრამა გვექნება. დიდი მაღალი მინდა გადავუხადო იმ მომღერლებს, რომლებიც პრეზენტაციაზე გვერდით დამიდგნენ, ასევე ყველა სადისტრიბუციო კომპანიას, აეროპორტის ხელმძღვანელობას, რომლებიც დაგვეხმარენ, ქალაქ თბილისის მერიას და საკრებულოს, განსაკუთრებით კი ბატონ მამუკა ახვლედიანს, რომელმაც რესტორნის გახსნაში მიიღო მონაწილეობა. ძალიან დიდი სურვილი მაქს გარდა ბიზნესისა საქართველოში ჩემი პროფესიით — სიმღერით დავპრუნდე. ახლა კი გამოვიყენებ პოეტ დოლო სუხაშვილის სიტყვებს:

ნაველ რა ვიყავ, მოვედი — რა ვარ,

გული გავიყავ ამდენი ფიქრით,

თუ სიყვრული თან გავიყოლე, დაბრუნებისას მოველ სიმღერით.

ასე რომ, ყველა სტუმარი, იქნება იგი ებრაელი, ქართველი, თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, სულითა და გულით ვეპატიულებით რესტორნიში „თბილისი-თელ-ავიზი“. ასე რომელი გვექნება. არ აქვს მნიშვნელობა ქართველი ადამიანის ხელმძღვანელი გახლდით, რომელსაც „იმ-

დამატებითი და

გამოხატვილი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11^ა, ვახტანგ VI ქ. №30

თელეფონი: 299.90.96, 27